ოქმი:**ო08. 3726070001**
თარიღი:**11/03/2026**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 10 მარტი

ქ.ოზურგეთი

12:00 – 12:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. კიკვაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ტ. ბარამიძე, ლ. კვაჭაძე, ლ. მესხი, დ. თოიძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პავლე ჭყონია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, იგი კომისიის წევრებს ვრცლად წარუდგინა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც ასევე უპასუხა დასმულ შეკითხვებს. მათ შორის მოსახლეობის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის თაობაზეც. სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი